

წინასიყუფაობა

ძვირფასო მკითხველნო!

მოგესალმებით მონყალე და მწყალო-ბელი უზენაესი ალლაჰის სახელით! მხოლოდ მას ეკუთვნის ქება-დიდება.

უზენაესმა ალლაჰმა მუჰამმედ შუამავლის მიმდევრობით მარადიული პატივი გვიბოძა. რადგან დაგვდო ეს პატივი, გვექონოდა შესაძლებლობა, ვყოფილიყავით მუჰამმედ შუამავლის (ს.ა.ვ.) მიმდევარნი, ამისათვის ალლაჰს მარადიულად უნდა ვუძღვნათ ქება-დიდება და მადლიერნი ვიყოთ მისი.

ალლაჰმა უბადლო და სამაგალითო პიროვნების სახით კაცობრიობას სამუდამო სიმშვიდე და ჭეშმარიტების უჭკნობი სინათლე უძღვნა, ალლაჰის უსასრულო ლოცვა და დიდება მას. მთელი სამყარო ელოდა მუჰამმედ შუამავლის ამქვეყნად მოვლენას, რადგან კაცობრიობა დაღლილი იყო უმეცრებით. ბოლოს ეს დღეც დადგა. მუჰამმედ შუამავლის დაბადებამ 571 წლის რაბიულ ეველის მთვარეში კაცობრიობას ბედნიერება მოჰგვარა. ალლაჰმა ის უკანასკნელ შუამავლად გამოგზავნა დედამიწაზე და მისი სახელი კაცობრიობას არასდროს დაავიწყდება. იგი ერთ-ერთ ჰადისში ბრძანებს: *მე წარმოგზავნილი ვარ, რათა კაცობრიობას ვუჩვენო ზნეობრივი და მორალური თვისებების ყველაზე მაღალი ხარისხი*. უდიდესმა ალლაჰმა მუჰამმედ შუამავალი (ს.ა.ვ.) კაცობრიობას კრიტიკულ მომენტში მოუვლინა, იმ დროს, როცა სამყარო უმეცრებისა და უსამართლობის ბურუსში იყო, ეს იყო ადამიანთა მოდემისათვის მოვლენილი ნყალობა, როგორც ამას ალლაჰი სურა ენზიას 107-ე აიათში გვამცნობს. **„და არ წარგვიგზავნიხარ შენ, თუ არა მონყალეზად სამყაროთათვის“**. ალლაჰმა მუჰამმედ შუამავალი კაცობრიობას, უცოდინრობის, უვიცობის, დაუნდობლობისა და საზოგადოების გადაგვარების, თავიანთი უვიცობით პირუტყვის დონემდე დაცემული ადამიანების პერიოდში, კაცობრიობას

სამუდამო და უსასრულო ნყალობად მოუვლინა.

უზენაესი ალლაჰი შუამავლთან დაკავშირებით შემდეგს გვამცნობს **„ფიციავ, ალლაჰის შუამავალი კარგი მაგალითი იყო თქვენთვის, ვინც ისწრაფვოდა ალლაჰისკენ და უკანასკნელი დღისკენ და ხშირად ახსენებდა ალლაჰს!“** (სურა ალ-აჰზაბი, აიათი 21). შუამავალმა ცხოვრების ყველა ეტაპზე ისეთი სანიმუშო მაგალითი გვიჩვენა, რომლის მიღწევაც მხოლოდ ადამიანს შეუძლია. მის ყოველ მოქმედებაში ყველაზე საუკეთესო სილამაზე იგრძნობა. ამიტომ ყოველ ადამიანს შეუძლია წმინდა მუჰამმედ შუამავლის სუნნეთიდან მაგალითები გადმოიღოს.

სურა კალამის მე-4 აიათში ალლაჰი ასე ბრძანებს შუამავლს მიმართ. **„და უეჭველად, შენ ადგახარ უმაღლეს ზნეობას“**

მუჰამმედ შუამავლის (ს.ა.ვ.) ცხოვრება ყველა ადამიანისთვის სამაგალითოა, რადგან ალლაჰმა ის ობლად გააჩინა, ყოველგვარი ცხოვრების გამოცდილება მისცა და საბოლოოდ ადამიანისთვის შესაძლებელ მაქსიმალურ ზღვრამდე აიყვანა. უზენაესმა ალლაჰმა ყურანში შუამავალი მუჰამმედი წარმოადგინა როგორც **„უსვავი ხასენე“**, რაც **„საუკეთესო მაგალითს“** ნამნავს.

შუამავალმა თავისი ცხოვრებითა და ქცევით კაცობრიობას წარმოუდგინა ზნეობის ისეთი მაღალი ნიმუში, რომლის პრინციპებიც თავის აქტუალურობას დღესაც არ კარგავს. ის იყო **„მარადიული ბედნიერების“** მეგზური და ხალხის წინაშე უბადლო მაგალითი. აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ ის, რომ ალლაჰის შუამავალი, (ს.ა.ვ.) ჩვენთვის სანიმუშო მაგალითია, მას უნდა მივბაძოთ და მისი სუნნეთი-ცხოვრების მოდელი უნდა ავიღოთ მაგალითად.



ალამ უანთაძე

საქართველოს მუფთი



ისლამური ერთიანობა საერთო ღირებულებების მისაღწევად

მაღლობა დიად გამჩენს, რომ ჩვენ მუსლიმებად გაგვაჩინა, ერთმანეთის და-ძმებად გამოგვაცხადა და „სამყაროს წყალობად“ წოდებული შუამავლის (ს.ა.ვ.) მიმდევრებად დაგვადგინა.

ისლამი აერთიანებს ყველას, მიუხედავად მათი განსხვავებული ეროვნებისა, რასისა, ეთნიკური კუთვნილებისა, ენისა და სხვა მრავალი მსგავსი ფაქტორისა. ისლამმა მორწმუნეები და-ძმებად აქცია და შესაბამისად, ყველა ის უთანასწორობა, რომელიც ეროვნებასთან, სქესთან, მატერიალურ მდგომარეობასთან იყო დაკავშირებული, აღმოფხვრა.

შუამავალი მუჰამედი (ს.ა.ვ.) სასტიკად კრძალავდა სხვადასხვა გვარებსა თუ ტომებს შორის დაპირისპირებას და ყველას, ისლამის ირგვლივ გაერთიანებისკენ მოუწოდებდა.

ერთიანობის დარღვევა და განცალკევება ყოვლად მიუღებელია. თუ საზოგადოებას ასეთი დამანგრეველი სენი შეეყარა, სავალალო შედეგი გარდაუვალია. ამგვარი საზოგადოება ერთ უბედურებას რომ დააღწევს თავს, მაშინვე მეორეს გადაეყრება და მისი არსებობის შენარჩუნება კითხვის ნიშნის ქვეშ დადგება.

ბუნებრივია, გარეშე მტრებსაც სწორედ ეს უნდათ, დაშლილი და დაუძღურებული ხალხი. ერთმანეთის გაუტანლობითა და შიდაშლილობით მტერს ძალიან ნოყიერ ნიადაგს ვუმზადებთ იმისთვის, რომ დროდადრო დაგვაუძღუროს და მისი კონტროლის ქვეშ მოგვაქციოს. გარეშე ძალები ამგვარი ტენდენციების გაღვივებას აუცილებლად შეეცდებიან და საამისოდ სხვადასხვა ხერხს მიმართავენ. ურთიერთქმედობის შედეგად ხალხი, ვინც ამგვარ ანკესებს

წამოეგება, უკიდურესად დაუძღურდება და მორალური განადგურების პირას აღმოჩნდება. შემდეგ კი მისი დამორჩილება უკვე ძალიან იოლი გახდება. სამწუხაროდ ისტორია მსგავსი მოვლენებითა და ფაქტებითაა სავსე.

მუსლიმებმა კარგად უნდა ვიცოდეთ, რომ ერთიანობის უგულვებელყოფა და განცალკევების შემცველი ტენდენციები დამღუპველია. ეს არ იქნება ისლამით სვლის გზა, ამ გზით ვერც რწმენას შევინარჩუნებთ და ვერც დიდხანს ვიარსებებთ. ერთიანობაზე უარის თქმა სამშობლოს დაასუსტებს და დაღუპვის საფრთხის წინაშე დააყენებს.

ასევე, ყველა მუსლიმმა კარგად უნდა იცოდეს, რომ გულწრფელი ღვთისმოშიშობა, ყურანის გზით სვლა, ღვთისმსახურება და ისლამურ საზოგადოებაში ერთიანობა, წარმატებისა და ბედნიერი, ჰარმონიული ცხოვრების საწინდარია. ჩვენ წინ უნდა აღვუდგეთ განცალკევებას, დაშლას და ქაოსს საზოგადოებაში. უპირველეს ყოვლისა, მუსლიმთა გულები ჭეშმარიტი რწმენით ალლაჰის გარშემო უნდა გაერთიანდეს და ყველა საქმე ყურანის შესაბამისად ერთიანი ძალისხმევით უნდა წარიმართოს. თუ მუსლიმები საზოგადოების ერთსულოვნებას უგულვებელყოფენ და დაიშლებიან, ეს აუცილებლად მათ სასონარკვეთილებასა და უიმედობაში ჩავარდნას გამოიწვევს. ძალიან სახიფათოა ერთი რომელიმე ცალკედ აღებული ადამიანის მხრიდან იმის თქმა, რომ ის მარტოდმარტო დაიცავს საკუთარ სარწმუნოებას, სამშობლოს, ღირსებასა და ნამუსს. რწმენის გზაზე მარტოობის მსურველების მყარად დგომა, საეჭვო და შეუძლებელია.

გამომდინარე აქედან, „უმმეთისეული მოდელი“ ანუ ის „საზოგადოებრივი მოდელი“, რომელიც ისლამმა დანერგა, აშკარად ადასტურებს იმას, რომ ადამიანებს შორის და განსაკუთრებით მუსლიმებს შორის ერთად ცხოვრების, თანადგომის, სიყვარულისა და პატივისცემის მაგალითობა უმთავრესია. „უმმეთისეული მოდელი“, ეს არის ისლამის პრინციპებზე დაფუძნებული, ფართო საზოგადოების გამომხატველი მცნება, რომელიც არ ანიჭებს უპირატესობას ადამიანის ეროვნებას, სალაპარაკო ენას, კანის ფერსა და გეოგრაფიული საზღვრების მსგავს ელემენტებს. უზენაესი ალლაჰი ყურანში ბრძანებს: „თქვენ ხართ ყველაზე საუკეთესო თემი, ვინც კი მოვლენილა ხალხთა შორის, ბრძანებთ სასურველს და კრძალავთ საძულველს, რადგანაც გწამთ ალლაჰის... (სურა ალი იმრანი, 110)

შუამავალი კი მორწმუნეებს ასე ახასიათებს: „მორწმუნეები ერთმანეთის სიყვარულში, სიბრალულსა და ერთმანეთის დაცვაში ერთ მთლიან სხეულს ჰგვანან. როცა სხეულის ერთი კიდური ავად შეიქმნება, მაშინ სხეულის დანარჩენ ყველა კიდურს უძილობა და მოუსვენრობა შეიპყრობს.“ (ბუჰარი, ედები 27: მუსლიმი ბირრი 66)

ის მთავარი მახასიათებელი ნიშანი, რაც უმმეთს ვალდებულებად აკისრია და იგი სხვა დანარჩენი საზოგადოებისგან უნდა განასხვავოს, არის რწმენა, სამართლიანობა, ერთიანობა, მშვიდობა და სანდოობა. ეს ნიშნავს, რომ მუსლიმებს მართებთ ერთიანობა საერთო ღირებულებების მისაღწევად.

ამ საკითხთან დაკავშირებით, მახსენდება ერთი ქართველი ბრძენი მწერლის სულხან-საბა ორბელიანის ჭკუის დამრიგებლური იგავი „ძალა ერთობაშია“. ამ არაკის თანახმად, ძველად ცხოვრობდა მეფე, რომელსაც ოცდაათი შვილი ჰყავდა. ერთ დღეს, როდესაც მეფემ იგრძნო სიკვდილის მოახლოება, მან უხმო შვილებს და სთხოვა 30 ისრის მოტანა. შეკრა ისინი ერთ კონად და სცადა გადაეტეხა, მაგრამ ვერ გადახეტა. შემდეგ თითო-თითოდ სცადა ისრების გატეხვა და ადვილად შეძლო ეს. ამის შემდეგ შვილებს უთხრა: „თუ ერთად იქნებით, მტერი ისევე ვერ გაგტეხთ, როგორც მე ვერ გავტეხე შეკრული ისრების კონა. თუ დაშორდებით ერთმანეთს, ცალ-ცალკე მტერი ადვილად დაგლენავთ“.

ამრიგად, ყველა დიდი თუ პატარა საქმე ერთიანობითა და ერთმანეთთან გვერდში დგომით გადაიჭრება. ერთიანობაში ისეთი დიდი მუხტი და ძალაა, რომ ყველა პრობლემა ადვილად იჭრება და გვარდება.

დასაფიქრებელი და სამწუხაროა ის ფაქტი, რომ უკანასკნელ წლებში შეირყა და ბზარი შევიდა მუსლიმთა ერთიანობაში. ისლამით ძმებად გამოცხადებული მუსლიმები იქსაქსებიან, სხვადასხვა გზით მიდიან და გარკვეულწილად ერთიანობას უგულვებელყოფენ. მავანთ ავინყდებათ უზენაესი ალლაჰის ყურანისეული შეგონებანი ერთად დგომისა, ერთად ლოცვისა და ერთიანობის მნიშვნელობის შესახებ. მუსლიმები დღენიდაღ უნდა ზრუნავდნენ როგორც საკუთარი, ასევე სხვების პრობლემების მოგვარებისათვის, რაც ნიშნავს იმას, რომ სამართლიანად განსაჯონ, იყვნენ სიკეთისკენ მომწოდებელნი და ბოროტების აღმკვეთნი. ამასთანავე მუსლიმები ერთ სხეულად უნდა შეიკრან, თანამედროვე საზოგადოებრივი ფასეულობები დაიცვან, სამართალსა და ადამიანის უფლებებს პატივი სცენ. არასდროს უნდა დაივიწყონ, რომ ეს ფასეულობები ისლამური ზნეობის საფუძველია. ძალა და ნარმატება მხოლოდდამხოლოდ ერთიანობაშია. დიადი ალლაჰი ბრძანებს:

„მტკიცედ ჩაეჭიდეთ ყველანი ალლაჰის (რწმენის) თოქს, და არ დაიყოთ...“ (სურა ალი იმრანი, 103)

სამწუხაროდ, კვლავ გრძელდება საომარი მოქმედებები ახლო აღმოსავლეთში, დღემდე ათასობით მშვიდობიანი მოქალაქის, მათ შორის ბავშვების, ქალების, მოხუცების სიცოცხლე ემსხვერპლა საომარ დაპირისპირებებს ლაზასა და რაფახში. დასახიჩრდა და უსახლკაროდ დარჩა ათიათასობით მშვიდობიანი მოქალაქე, განადგურდა ინფრასტრუქტურა, საავადმყოფოები, სკოლები, საცხოვრებელი სახლები, შექმნილია უმძიმესი ჰუმანიტარული კატასტროფა და ამ ყველაფრის ფონზე მსოფლიო კვლავ დუმს ან არ დგამს სათანადო ნაბიჯებს ომის შესაჩერებლად. არავითარი დანაშაული და ცოდვა არ ჩაუდენიათ იმ ათასობით ბავშვს, რომელთა სიცოცხლეც ემსხვერპლა საომარ დაპირისპირებებს. მოვუწოდებთ გაეროსა და სხვა უფლებადამცველ საერთაშორისო ორგანიზაციებს ყველაფერი იღონონ პალესტინაში ომის შესაჩერებლად. ვლოცულობთ მშვიდობისათვის დედამიწაზე.

სამყაროსათვის წყალობა მოკლენილი

უზენაეს ალლაჰს ეკუთვნის ქება-დიდება, მხოლოდ და მხოლოდ ის არის ქება-დიდების ღირსი.

უზენაესმა ალლაჰმა შუამავლების გვირგვინად მოვლენილ მუჰამმედ შუამავლის (ს.ა.ვ.) მიმდევრობით მარადიული პატივი გვიბოძა. რადგან დაგვდო ეს პატივი, გვექონდა შესაძლებლობა, ვყოფილიყავით შუამავალთა შორის ყველაზე მაღლა მდგომი შუამავლის მიმდევარნი, ამისათვის ალლაჰს მარადიულად უნდა ვუძღვნათ ქება-დიდება და მაღლიერნი ვიყოთ მისი.

უზენაესმა ალლაჰმა უბადლო და სამაგალითო პიროვნების სახით კაცობრიობას სამუდამო სიმშვიდე და ჭეშმარიტების უჭკნობი სინათლე უძღვნა, ალლაჰის ლოცვა და სალაში მას. მთელი სამყარო ელოდა მუჰამმედ შუამავლის ამქვეყნად მოვლენას, რადგან კაცობრიობა დაღლილი იყო უმეცრული და წარმართული ცხოვრებით. ბოლოს ეს დღეც დადგა. მუჰამმედ შუამავლის დაბადებამ 571 წლის რაბიულ ეველის მთვარეში კაცობრიობას ბედნიერება მოჰგვარა. იგი მთელ კაცობრიობას გადარჩენის და ხსნის საბაბად და უდიდეს მასწავლებლად მოეწვინა, მასწავლებლად, რომლისგანაც სიმართლესა და ჭეშმარიტებას სწავლობენ. ალლაჰმა ის უკანასკნელ შუამავლად გამოგზავნა დედამიწაზე და მისი სახელი კაცობრიობას არასდროს დაავიწყდება. იგი ერთ-ერთ ჰადისში ბრძანებს: *„მე წარმოგზავნილი ვარ, რათა კაცობრიობას ვუჩვენო ზნეობრივი და მორალური თვისებების ყველაზე მაღალი ხარისხი“*. მუჰამმედ შუამავლის დაბადებით ეს სამყარო ალლაჰმა თავისი წყალობით შეამკო. დილის ცისკარმა და ოქროსფერმა დაისმა ფერები შეიცვალა, ადამიანები ჩაიძირნენ სულიერების ჩაუნვდომელ სამყაროში, სიტყვები და საუბრები განსაკუთრებული სიტკბოთი აივსო, სამყაროში ყველაფერმა თავისებური

აზრი და სიფაქიზე ჰპოვა. კერპები შეირყა და ძირს გადმოცვივდა, სადაც ისინი უმეცრებამ შედგა. უდიდესმა ალლაჰმა მუჰამმედ შუამავალი (ს.ა.ვ.) კაცობრიობას ყველაზე კრიტიკულ მომენტში მოუვლინა, იმ დროს, როცა სამყარო უმეცრებისა და უსამართლობის ბურუსში იყო, ეს იყო ადამიანთა მოდგმისათვის მოვლენილი წყალობა, როგორც ამას უზენაესი ალლაჰი სურა ენბიას 107 აიათში გვამცნობს: *„და არ წარგვიგზავნიხარ შენ, თუ არა მოწყალებად სამყაროთათვის“*. ალლაჰმა მუჰამმედ შუამავალი კაცობრიობას, უცოდინრობის, უვიცობის, დაუნდობლობისა და საზოგადოების გადაგვარების, თავიანთი უვიცობით პირუტყვის დონემდე დაცემული ადამიანების პერიოდში სამყაროს სამუდამო და უსასრულო წყალობად მოუვლინა. ის გახდა საბაბი სიუხვის, ბარაქიანობის, შეცოდების, თანაგრძნობის, გადარჩენისა და ჭეშმარიტებისა.

უზენაესი ალლაჰი სურა ალ-აჰზაბის 21-ე აიათში ასე ბრძანებს: *„ფვიცავ, ალლაჰის შუამავალი კარგი მაგალითი იყო თქვენთვის, ვინც ისწრაფვოდა ალლაჰისკენ და უკანასკნელი დღისკენ და ხშირად ახსენებდა ალლაჰს!“*. მუჰამმედ შუამავალმა ცხოვრების ყველა ეტაპზე ისეთი სანიმუშო მაგალითები გვიჩვენა, რომლის მიღწევაც მხოლოდ ადამიანს შეუძლია. მის ყოველ მოქმედებაში ყველაზე საუკეთესო სილამაზე იგრძნობა. ამიტომ ყოველ ადამიანს შეუძლია, მუჰამმედ შუამავლის სუნნეთიდან - ცხოვრების მოდელიდან, მისთვის საუკეთესო მაგალითი გადმოიღოს. მისი ქცევები, ვარდების ისეთი ლამაზი თაიგულია, საიდანაც ყოველ ადამიანს მისთვის სასურველი ყვავილის ამორჩევა შეუძლია. როგორც უკვე ვთქვით, მუჰამმედ შუამავალი ამქვეყნად მოვლენილ ადამიანთა შორის ყველაზე სანიმუშოა. სურა კალამის მე-4 აიათში ალლაჰი ასე ბრძანებს შუამავლის მიმართ.

„და უეჭველად, შენ ადგახარ უმაღლეს ზნეობას“. მუჰამმედ შუამავლის (ს.ა.ვ.) ცხოვრება ყველა ადამიანისთვის სამაგალითოა, რადგან ალლაჰმა ის ობლად გააჩინა, ყოველგვარი ცხოვრების გამოცდილება მისცა და საბოლოოდ ადამიანისთვის შესაძლებელ მაქსიმალურ ზღვრამდე აიყვანა. ის ჯერ ალლაჰის შუამავალი გახდა, შემდეგ კი - სახელმწიფოს მეთაური. ამიტომ მას მრავალი საბედისწერო ნაბიჯის გადადგმა და ურთულესი საქმის გაკეთება მოუხდა. უზენაესმა ალლაჰმა ყურანში შუამავალი მუჰამმედი წარმოადგინა როგორც „უსვავი ხასენე“, რაც საუკეთესო მაგალითს ნაშნავს.

ადამიანისთვის ყველაზე ძვირფასი ხელჩასაჭიდი ალლაჰის მიერ გამოგზავნილი ყურანია, რომლის მიმდევარი დაცულია ყოველი შეცდომისგან. ყურანი ყველაზე ძლიერ სწორედ მუჰამმედ შუამავალს ესმოდა და ის ყოველთვის მის მიხედვით დგამდა ნაბიჯს. ამიტომ ადამიანისთვის ყველაზე ძვირფასი მხოლოდ ყურანი და შუამავლის სუნნეთია. მეორე მხრივ, ჩვენთვის ცნობილია, რომ მუჰამმედი შუამავლობის მინიჭებამდეც სანიმუშო, ყველასთვის სანდო და საყვარელი ადამიანი იყო. მას ყველა „ემინს“ - საიმედოს და „სადიყს“ - სამართლიანს ეძახდა. მუჰამმედ შუამავლს ყველა ენდობოდა და მის გადანყვეტილებებს პატივს სცემდა, რადგან იცოდნენ, რომ ის სამართლიანი იყო, უსამართლოდ არასდროს მოიქცეოდა და ტყუილს არასდროს იტყუოდა. ის თავისი ამალღებული ზნეობრივი ცხოვრებით ცხოვრობდა. როდესაც ჰირას გამოქვაბულიდან დაბრუნდა, ღვთის წინაშე ვალდებულებები გააჩნდა. როგორც კი დაინყო შეტყობინება შუამავლობის შესახებ, მთელი არაბეთი შიშმა და გაკვირვებამ მოიცვა, მისმა არაჩვეულებრივმა მჭევრმეტყველებამ და ორატორულმა ნიჭმა, ისინი თითქოს მოაჯადოვა. პოეზიის, ლიტერატურის, მჭევრმეტყველებისა და ენამოსწრებულობის შეჯიბრებები დასრულდა. ამის შემდეგ არცერთ პოეტს არ გამოუკრია თავისი „შედევრი“ ქაბას კედელზე. ასე ჩაბარდა ისტორიას ლეგენდები. წმინდა მუჰამმედ შუამავალმა (ს.ა.ვ.) კაცობრიობას თავისი მოქმედებებით დაუმტკიცა, რომ უდიდესი



ალლაჰის ამქვეყნად მოვლენილი წმინდა შუამავალი იყო.

ყველაზე ძლიერი მეცნიერების მიერ თავიანთი ცხოვრების მანძილზე ჩატარებულ გამოკვლევებს სოციალურ, ისტორიულ, კულტურულ, ეკონომიკურ თუ სხვა რომელიმე სფეროში, საფუძვლად მაინც მუჰამმედ შუამავლის შემეცნებები ედო. კაცობრიობას უქადაგებდა უკიდევანო მონყალებას. ამბობდა, რომ ალლაჰი ერთადერთია და მისი შემცვლელი არავინაა ქვეყნიერებაზე. ამის დასამტკიცებლად ძალ-ღონეს არ იშურებდა. იგი ვაჟკაცი, ძლიერი ნებისყოფის მქონე, გონებრივად და ფიზიკურად განვითარებული, სულით მდიდარი და შორსმჭვრეტელი მეთაური იყო. წმინდა შუამავალი კარდაკარ დადიოდა და ალლაჰის რწმენას ადამიანებს აცნობდა, მაგრამ იყო ადამიანების კატეგორია, რომლებსაც არ სურდათ ამ ბედნიერების განცდა ან არ იყვნენ ამის ღირსნი და შუამავალს კარებს უხურავდნენ, ისინი სამუდამო სიბნელეში ყოფნას ირჩევდნენ, უფრო მეტიც, მას ზოგჯერ ძალიან ცუდად ექცეოდნენ. მაგრამ წმინდა შუამავალი ამ უხემ საქციელს არაფრად თვლიდა, უბრალოდ იმიტომ იყო დანაღვლიანებული, რომ ეს ხალხი უცოდინრობისა და დაუდევრობის მსხვერპლი ხდებოდა. მუჰამმედ შუამავალმა თავისი ცხოვრებითა და ქცევით კაცობრიობას წარმოუდგინა ზნეობის ისეთი მაღალი ნიმუში, რომლის პრინციპებიც თავის აქტუალურობას დღესაც არ კარგავს. ის იყო „მარადიული ბედნიერების მეგზური და ხალხის წინაშე უბადლო მაგალითი. აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ ის, რომ ალლაჰის შუამავალი, (ს.ა.ვ.) ჩვენთვის სანიმუშო მაგალითია, მას უნდა მივბაძოთ და მისი სუნნეთი-ცხოვრების მოდელი უნდა ავიღოთ მაგალითად.



ქველმოქმედების საზღაური

გაჭირვებულსა და ღარიბ ადამიანზე დამხმარეს ალლაჰი მოულოდნელად სამ კარს გაუხსნის. ყაის ბინ სელი გადმოგვცემს:

„ძმებმა ჩემს შესახებ ალლაჰის შუამავალს შესჩივლეს, რომ თითქოს ქონებას ვანიავებდი და აქეთ-იქეთ ვარიგებდი. მე წმინდა შუამავალს ვუთხარი:

–ალლაჰის შუამავალო! მე მიღებული მოსავალის ნაწილს სახლში ვიტოვებ და ნაწილით გაჭირვებულებს ვეხმარებო. შუამავალმა მკერდეზე ხელი სამჯერ დამკრა და მითხრა:

–დაეხმარე, რომ ალლაჰმაც შენ დაგეხმაროს!

ამ ამბის შემდეგ, როცა ალლაჰის გზაზე საბრძოლველად წავედი, მე უკვე ცხენიც მყავდა და მუსლიმებს შორის ყველაზე შეძლებულიც ვიყავი“ (ჰეისემი, 3, 128).

ალლაჰის შუამავალი ბრძანებს: „არსებობს სამი რამ რაზეც შემიძლია დავიფიცო:

1. მოწყალების გამცემი ადამიანის ქონებას ალლაჰი არაფერს მოაკლებს;

2. მას, ვინც მოთმინებასა და ნებისყოფას გამოიჩენს მაშინ, როდესაც სრულიად დაუსაბუთებლად აწყენინებენ, ალლაჰი ღირსებას უფრო აუმაღლებს;

3. ვინც მათხოვრობის გზას დაადგება, ალლაჰი მას სიღარიბის კარებს გაუხსნის“ (თირმიზი, ზუჰდი, 17).

ვინც მხოლოდ და მხოლოდ ალლაჰის სიყვარულით და არა სხვის დასანახად, ან სახელის მოსახვეჭად გაჭირვებულს დახმარებას გაუწევს, ალლაჰი მას როგორც ფიზიკურად, ისე სულიერად გააძლიერებს. ამასთან დაკავშირებით, ერთხელ ალლაჰის შუამავალმა დედამინის გაჩენის და მის გასამყარებლად აღმართულ მთებზე ისაუბრა. როდესაც უზენაესმა ალლაჰმა დედამინა შექმნა, მთების სიძლიერით ანგელოზები გაკვირვებული დარჩნენ და ალლაჰს ჰკითხეს, თუ იყო გაჩენილთაგან რამე მთაზე უფრო ძლიერი. ალლაჰმა თანმიმდევრობით ჩამოთვალა: რკინა, ცეცხლი, წყალი და ბოლოს, ყველაზე ძლიერად ქარი დაასახელა. ამ ყველაფერზე

უფრო ძლიერი კი ადამიანია, – ბრძანებს ალლაჰი.

„თუკი ადამიანი მარჯვენა ხელით მისცემს და მას მარცხენა ხელს არ აგრძნობინებს, ის ყველაზე ძლიერი იქნება“ (თირმიზი, თეფსირი, 113–117).

ალლაჰმა ადამიანი ყველაზე ძვირფას არსებად გააჩინა. ადამიანებმა კი ერთმანეთში უნდა გამოარჩიონ უფრო ძვირფასი, რისი გაკეთებაც მათი გულწრფელობის, სხვაზე დახმარებითა და სიკეთით შეიძლება მოხდეს. მონყალებით ჩუმიად გამცემი ადამიანი მათგან ყველაზე უფრო ძლიერი და ძვირფასია.

იმ ადამიანს, ვისაც სხვაზე დახმარება უყვარს, ალლაჰი ყოველთვის იცავს და ეხმარება. ალლაჰის სიყვარულის გამო მონყალების გამცემი ადამიანი, უპატრონოდ არასდროს დარჩება. ალლაჰი მას უამრავი საჩუქრით დააჯილდოვებს. ალლაჰის შუამავალი აღნიშნავს, რომ დახმარებით ქონება არ მოიკლებს, პირიქით, უფრო მოიმატებს. იმისათვის, რათა ქველმოქმედების მაღლზე სრული წარმოდგენა ვიქონიოთ, შუამავალი მუჰამმედი შემდეგ ისტორიას მოგვითხრობს:

„უდაბნოში მოგზაურობის დროს, ერთ–ერთ მგზავრს ციდან, სადაც ერთი ღრუბელი იყო, ხმა მოესმა: „ამა და ამ კაცის ბაღჩა მორწყე!“ ამის შემდეგ, ეს ღრუბელი გაშავდა და მხოლოდ ერთ ფერდობზე განვიშდა. ამ ადამიანმა დაინახა, რომ წყალი მხოლოდ ერთ არხში ჩაედინებოდა. იგი რა თქმა უნდა დაინტერესდა და წყალს გაჰყვა. დაინახა, რომ ერთი ადამიანი წყალს თოხით ხან ერთ, ხან მეორე მხარეს უშვებდა და თავის ბაღჩას რწყავდა. ჰკითხა:

–ალლაჰის მსახურო! რა გქვია? პასუხად სწორედ ის სახელი მიიღო, რომელიც ღრუბლიდან მოესმა.

–სახელი რატომ მკითხე?

–მე ღრუბლიდან ხმა ჩამომესმა, მინდოდა გამეგო იმ ხმაში შენი სახელი იყო თუ სხვა. ამ კითხვით კი დავაზუსტე რომ



შენ იყავი. ისეთს რას აკეთებ, რომ ასეთი მაღლი დაიმსახურე?

–რადგან გაინტერესებთ, არ დაგიმაღავეთ. მე ამ ბაღჩის შემოსავალს რომ შევაგროვებ, დავითვლი. შემოსავლის ერთ მესამედს გაჭირვებულებს ვაძლევ, ერთ მესამედს დასათესად ვინახავ, და ერთი მესამედიც სახლში მიმაქვს“ (მუსლიმი, ზუჰდი, 45).

ამ ძვირფას ადამიანს, მხოლოდ თავისი მონყალების მაღლით, ისეთ ადგილას, სადაც წვიმა ნაკლებია, ალლაჰის დახმარებით, იმდენი მოსავალი მოჰყავდა, რომ მასაც ყოფნიდა და სხვასაც უნანილებდა.

ადამიანი, რა თქმა უნდა, ცოდვისა და შეცდომებისგან სრულად დაცული ვერ იქნება, მაგრამ ზეჰათი და მონყალება ალლაჰის რისხვისგან დაიცავს და გადაარჩენს. ამ მაღლთა წყალობით მათი ცხოვრება მშვიდობით გაივლის. ალლაჰის შუამავალი ბრძანებს: *„გაცემული მონყალება ალლაჰის რისხვას გამოორებთ და ცუდი სიკვდილისგან დაგიცავთ“ (თირმიზი, ზეჰათი, 28).*

ალლაჰის შუამავალი, ერთი მხრივ ხალხს სხვათა დასახმარებლად მოუწოდებდა, მეორე მხრივ კი – მათხოვრობას უკრძალავდა.

უზენაესმა ალლაჰმა მოგვცეს შეძლება მტკიცე ნებისყოფის, ხელგაშლილობისა და მიტევების; მანვე გვაშოროს სისაძაგლე, ბოროტება და ყოველგვარი სიბილნე... ამინ!

„თაცვა“

(აღლაჰის ნების წინააღმდეგ წასვლისგან თავის არიდება)

რალიბელ-ისპაჰანი (გარდ. 502/1108) „თაცვა“-ს შემდეგნაირად განმარტავს: ენის თვალსაზრისით, „თაცვა არის თავის არიდება იმისგან, რაც ადამიანს ზიანს აყენებს“. რელიგიურ გაგებით კი „თაცვა“ არის თავის დაცვა იმისგან, რასაც შეიძლება საშიში შედეგი მოჰყვეს. რალიბი დასძენს, რომ თაცვა, როგორც ტერმინი, აღნიშნავს, „ცოდვის ჩადენისგან თავის დაცვას“. თაცვა არარის 'შიში' ან „დაშინება“. შიშისგან თავის არიდება სხვაა, ხოლო შიში — სხვა.

ყურანში „თაცვა“ და „ითთიყა“ ტერმინები აღლაჰის ნებისა და ბრძანების საწინააღმდეგო საქმეებისგან თავის არიდებაზე, ხოლო „მუთთაყი“ კი აღლაჰის ნების საწინააღმდეგო საქმეებისგან თავშეკავებულ ადამიანზე მიუთითებს.

ჰუჯურათ სურას მე-13 აიათში შემდეგნაირადაა ნაბრძანები:

ჰეი, ადამიანო! უეჭველად, ერთი მამრიდან და ერთი მდედრიდან გაგაჩინეთ თქვენ და რომ შეიცნოთ ერთმანეთი, დაგადგინეთ ერებად და ტომებად. უეჭველად, თქვენგან ყველაზე პატივდებული აღლაჰის წინაშე თქვენში ყველაზე უფრო ღვთისმოშიშია (ღვთისმოშიში არის ადამიანი, რომელიც ერიდება იმ საქმეებს რაც აღლაჰმა აკრძალა) უეჭველად, აღლაჰი ყოვლისმცოდნეა, ყველაფრისმცოდნეა!

აღლაჰის წინაშე ყველაზე დაფასებული თქვენ შორის ის არის, ვინც ყველაზე მეტად იცავს თავს აკრძალული ქმედებებისგან.

ყურანი გამუდმებით მოგვინოლებს, რომ თავი ავარიდოთ ბოროტებას და იმ საქმეებს, რაც აღლაჰის ნების წინააღმდეგია. მაგალითად, ყურანი გვასწავლის ბოროტებისა და არასასიამოვნო საქმე-

ებისგან, გაუგებრობისა და კონფლიქტებისგან, ეგოისტური მიზნებისა და სიხარბისგან, ცეცხლისა და არეულობისგან (ფითნა) თავის არიდებას და ა.შ.

ყველა ამ მაგალითის გათვალისწინებით, ყურანში თაცვასა და მისი სხვადასხვა ფორმების მნიშვნელობა შემდეგნაირად შეიძლება განიმარტოს: „თაცვა“ ნიშნავს ღვთაებრივი ნების საწინააღმდეგო საქმეებისგან თავშეკავებას, მათგან განდგომას და ასევე სხვა ადამიანების ამ ქმედებებისგან დაცვას.

როგორც ჩანს, „თაცვას“-ს ორი მნიშვნელოვანი ასპექტი აქვს: ერთი, რომელიც მიმართულია ინდივიდისკენ და მეორე, რომელიც მიმართულია გარესამყაროსა და სხვა ადამიანებისკენ.

ყურანის მიერ „კარგისკენ მონოდება და ბოროტის აკრძალვა“, „რელიგიის ქადაგება“, და „გაფართობილება“ თაცვას ნაწილი ან მისი გაფართოებული ცნებაა. ყველა ამ ცნებას, საბოლოო ჯამში, ერთი მიზანი აქვს: ღვთაებრივი ნების საწინააღმდეგო საქმეებისგან საკუთარი თავისა და სხვების დაცვა.

სამწუხაროდ, „თაცვა“ ტრადიციული შეხედულებებით, გადაჭარბებულ მისტიკურ მდგომარეობადაა აღქმული. ყურანის თავდაპირველი მნიშვნელობა იგნორირებულია, და ტერმინი ზედმეტად სულიერ და ხელოვნურ სინმინდესთან არის დაკავშირებული.

ყურანი არ ცდილობს „თაცვა“-ს სამყაროსგან და ყოველდღიური ცხოვრებისგან მონყვეტილ მისტიკურ ან რომანტიკულ კონცეფციად გადაქცევას. „თაცვა“ არის მდგომარეობა იმაში, რომ თავშეკავება უნდა ხდებოდეს ყურანის მიერ ხაზგასმულ ყველა სფეროში. მაგალითად,

„ნეფსი“-ს (მატიერიალური მოთხოვნილებისკენ მიდრეკილება) კონტროლის თვის დაბეჯითებითა და მოთმენით მუშაობა, მრისხანებისგან თავის არიდება, ზედმეტი ჭამისგან თავის შეკავება, ასევე სიტყვის გატეხვისგან, ალლაჰის მიერ ნაბოძები წყალობის უგულვებლყოფისგან თავის არიდებაც „თაყვა“-ს ნაწილია.

როდესაც „თაყვა“-ს ყურანისეული კონტექსტით განვიხილავთ ვგებულობთ, რომ ის ადამიანის ერთ-ერთი ყველაზე ღირებული შინაგანი დისციპლინაა. „თაყვა“, ასევე წარმოადგენს დისციპლინას, რაც ადამიანს სამყაროსთან ურთიერთობაში ეხმარება. წარმატებული, სულიერად მდიდარი და ნაყოფიერი ცხოვრება მხოლოდ იმ საზოგადოებაშია შესაძლებელი, რომელიც დაფუძნებულია იმ პიროვნებებზე, რომლებიც სწორად იგებენ „თაყვა“-ს მნიშვნელობას და შესაბამისად ცდილობენ ცხოვრებას.

ყურანის მიხედვით, ცხოვრების გამარტივება სამ ძირითად ფაქტორზეა დამოკიდებული: გაზიარება (ყველაფრის, რაც გიბოძა ალლაჰმა), დადასტურება (ალლაჰის ერთადერთობის) და თავშეკავება (ალლაჰის აკრძალვებისგან). (სურა ლეილი, 5-7). ადამიანს ყველაზე ძვირფასი რამ, რაც შეუძლია შეიძინოს, თავშეკავების გრძნობაა. (თაყვა) (სურა ბაყარა, 197).

ყურანში შემდეგნაირად გვიმახარობლებს უზენაესი: **ჰეი, თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! თუ მოერიდებით ურჩობას ალლაჰის მიმართ, მოგაგებს თქვენ ჭეშმარიტებისა და ცდომილების გარჩევის უნარს; დაფარავს თქვენს სიავენს და მოგიტევეთ თქვენ. და ალლაჰი უდიდესი წყალობის მქონეა!** (სურა ენფალი, 29)

ყურანიც ხომ მათთვისაა გზამკვლევი, ვისაც ეშინია იმისა, რომ ეურჩოს ალლაჰს. (სურა ბაყარა, 2)

„თაყვა“-ს ერთ-ერთი და ყოვლად მნიშვნელოვანი გამოხატულება სამართლიანად მოქცევაა. ალლაჰი შემდეგნაირად გვამცნობს:



ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! იყავით ალლაჰის წინაშე მონმენი, სამართლის აღმდგენი! და არ გაიძულოთ ზოგიერთ ადამიანთა მიმართ სიძულვილმა, რომ სამართლიანად არ იქცეოდეთ. იყავით სამართლიანნი, ის უფრო ახლოა ღვთისმოშიშობასთან (თაყვა); და გეშინოდეთ ალლაჰისა (მოერიდეთ ურჩობას ალლაჰისადმი), უეჭველად, ალლაჰი უწყის, რასაც იქმთ თქვენ. (სურა მაიდე, 8)

ყურადღება არის გასამახვილებელი მასზედ, რომ „თაყვა“ არის საზომი ალლაჰსა და ადამიანს შორის ურთიერთობაში, როგორც ნაბრძანებია სურა ჰუჯურათის მე-13 აიათში. იქიდან გამომდინარე, რომ მხოლოდ ალლაჰმა იცის ვინ არის ნამდვილად მორჩილი და მორწმუნე (სურა ნეჯმი, 32), „თაყვა“ ვერ იქნება ადამიანთა შორის ურთიერთობის საზომი, ვინაიდან არცერთმა ადამიანმა არ იცის, თუ რამდენად მორჩილი ან მორწმუნეა. ადამიანებს შორის ურთიერთობა დამყარებული უნდა იყოს პატივისცემაზე, საჯარო სიკეთისთვის მოღვაწეობაზე, ღირებულების შექმნასა და კომპეტენტურობაზე.

ალლაჰს უყვარს ადამიანები, რომლებიც არ ეურჩებიან მას. ურჩნი იწვევენ არეულობას საზოგადოებაში, აყენებენ ზიანს როგორც საკუთარ თავს, ასევე სხვებსაც. შევევედროთ ალლაჰს, რომ ვიყოთ მისი ბრძანებების სწორად გამგებნი, შემსრულებელნი და სხვებზე გადამცემნი.

ამინ!

ბეჩნიერი თჯახი ამქეყნიური საძითხეა

ქება და დიდება უზენაეს ალლაჰს, რადგან მან ადამიანებად გაგვარჩინა, ჩვენ შორის ბედნიერების წყაროდ გულწრფელი სიყვარულისა და ერთგულების კვანძები გააბა, რომელიც ჭეშმარიტი ურთიერთ-სიყვარულის მოპოვების გზას გვიხსნის! უსასრულო დალოცვა და სალამი შუამავალ მუჰამედ მუსტაფას, მისი ამქეყნიური გავლილი გზაც ჩვენთვის ჭეშმარიტი ცხოვრების ნიმუშად იქცა და მისი ხელმძღვანელობითა და დამრიგებლობით ჩვენ გვაქვს შესაძლებლობა სისუფთავის, სიმშვიდისა და კმაყოფილების საფუძველზე ჩვენი საშინაო და საგარეო ცხოვრება მოვანყოთ.

უზენაესი ალლაჰი ერთადერთია. მას არავინ და არაფერი ესაჭიროება. იგი ყოველადღლიერი და ძლევამოსილია. ყველა ქმნილება მან ისეთ მდგომარეობაში გააჩინა, რომ უამრავი სახის მოთხოვნილება აქვთ, მუდამ ესაჭიროებათ როგორც თავიანთ მსგავსთა, ასევე უზენაესი ალლაჰის დახმარება. ადამიანი ამ მხრივ პირველ ადგილზე დგას. სხვა ქმნილებებთან შედარებით მას მოთხოვნილებები და სურვილები გაცილებით მეტი აქვს. უფრო მეტიც, ამ მოთხოვნილებებსა და სურვილებს ზრდა და გაძლიერება შეუძლიათ და ადამიანს სურს მატერიალურ და სულიერ კომფორტში იცხოვროს. სიძნელე, სიღარიბე, გაჭირვება და უბედურება მისთვის მძიმე და არასასურველი ტვირთია, მას უჭირს მათი ზიდვა. ასეთ მომენტებში ადამიანი მხარდაჭერას, სულში ჩამწვდომი, მეგობრული ხელის გამოწოდებას ელოდება. ეს მოთხოვნა


თავისი პირველი განსაკუთრებული ნიშანია და სწორედ ამ ნიშნით ხდება ის შესაცნობი.

უზენაესმა ალლაჰმა ყველა არსება წყვილად გააჩინა. ამის შესახებ წმინდა ყურანში ნათქვამია:

„დიდება იმას, რომელმაც გააჩინა ყველა ის წყვილი, რომელსაც მინა იძლევა, და მათი სული, და რასაც არ უწყვიან!...“ (სურა იასინი, აიათი 36).

მიუხედავად იმისა, რომ ყველა არსება წყვილადაა გაჩენილი, მათ შორის ზუსტად ერთმანეთს არავინ ჰგავს. ერთი კვერცხუჯრედებიდან გაჩენილი ტყუპებიც კი განსხვავდებიან ერთმანეთისგან სხვადასხვა ხასიათით, თითებზე გამოსახული ნახატებით, თვალის ფერით და სხვა... უზენაესმა ალლაჰმა თავის მიერ გაჩენილთა შორის ურთიერთმიზიდულობის კანონები დაამყარა. სულიერი და ფიზიკური სრულყოფა მიიღწევა იმით, რომ ისინი ცხოვრების შეერთებით ერთი მთელის ორ ნახევრად იქცევიან.

გაჩენილთაგან თითოეულ არსებაში უდიდესი სიყვარულია ჩადებული. მამაკაცები და ქალები ერთმანეთის მოთხოვნილებას განიცდიან, ერთმანეთისკენ მიისწრაფვიან და მათი საშუალებით ხდება ადამიანთა მოდგმის გაგრძელება. მაგრამ ერთადერთი მიზანი ეს არ არის. ყველაზე მთავარი ოჯახის ისეთი მონყობის მიღწევაა, რომ მასში ადამიანი სიმშვიდეს, კმაყოფილებას და ბედნიერებას გრძნობდეს, რომ მან თავისი ყველა შესაძლებლობის განხორციელება შეძლოს.



გულები, რომლებიც მიზიდულობის ცენტრია და ერთმანეთთან სიყვარულითა დაკავშირებული, თითქოს იმისათვის ემზადებიან, რომ ისინი უზენაესის უდიდეს სიყვარულს დაეუფლონ. შვილების გაჩენასთან ერთად მათ შორის სიყვარული უფრო ძლიერდება და მტკიცდება, აღწევს რა სიმნიფეს და სრულყოფას, ის გულის შემთხვევით თვისებად კი არა, საფუძვლად იქცევა.


ოჯახის შექმნა უზენაესის მიერ დადგენილ ჩარჩოებში და წრფელი განზრახვით, ალლაჰის გულისთვის უნდა ხორციელდებოდეს. ორი ადამიანის სიყვარული, უზენაესის სახელით შექმნილი ოჯახი შინაურ ბუდეს ყველაზე სულიერ და ბარაქიან ადგილად გადააქცევს, რაც მის სიყვარულს განასახიერებს.

ისლამის თვალსაზრისით ოჯახის შექმნა — აუცილებლობაა, რომელზეც ადამიანმა უარი არ უნდა თქვას (გარდა მცირე გამონაკლისისა, საპატიო მიზეზის გამო), ეს მუჰამმედ შუამავლის სუნნეთია. როგორი მნიშვნელოვანიც არ უნდა იყოს ოჯახის შექმნა, ყველაზე მთავარი იმ საფუძვლების მომზადებაა, რომ ოჯახი რეალურად მართლაც იყოს მყუდროების, სიმშვიდის და ბედნიერების სამოთხე. რა არის საჭირო იმისათვის, რომ ასეთი ოჯახი შევქმნათ, რომელიც მართლაც იქნებოდა ღვთაებრივი სიყვარულის საფეხური? როგორ უნდა ვიცხოვროთ, რომ ჩვენი ოჯახური ცხოვრების გზა უზენაესის კმაყოფილების მოპოვებით დასრულდეს? როგორაა აუცილებელი საკუთარი თავის აღზრდა, რომ ამქვეყნად მოპოვებული ბედნიერება მარადიულ ცხოვრებაშიც გაგრძელდეს? ყველა ამ შეკითხვას მკაფიო პასუხებს ისლამი

სცემს. მან უზადოდ მოაწესრიგა ყველა გზა, კანონი, ხერხი, რომლებსაც ადამიანი უნდა მიჰყოლოდა. ისლამმა გააფრთხილა ადამიანები, რომ თუკი ამ დადგენილებებს არ დაიცავდნენ, მაშინ ზარალისა და მწუხარების გზაზე აღმოჩნდებოდნენ. ალლაჰის რწმენა, ნებადართულისა და აკრძალულის ცოდნა, უზენაესისა და ხალხის მსახურებაში გულწრფელობა — წარმატების საწინდარია. მუჰამმედ შუამავლის პირადი და ცხოვრებისეული მაგალითი ამ კუთხით თითოეული ადამიანისთვის საიმედო ორიენტირია. უცოდინრობაზე, მოგებასა და სხეულის ვნებებზე დაფუძნებული ცოლქმრობა ადამიანებს ბედნიერებას არ მოუტანს. ასეთ შემთხვევაში მეუღლეები ვერ შეძლებენ მნიშვნელოვანს, საკუთარი სულიერი განვითარების პირად ცხოვრებაში განხორციელებას.

უამრავმა ახალგაზრდა ადამიანმა ვერ შეძლო ნამდვილი და ჰარმონიული ოჯახის შექმნა, იზრდება განქორწინების რიცხვი, უბედურებიან შვილები. რამდენი უდარდელი ადამიანია, რომლებიც არ ზრუნავენ იმაზე, რომ შექმნან ოჯახები, მაგრამ ისინი ცოდვებისა და ჰარამის ხაფანგში არიან მომწყვდეულნი. ამასთან ერთად, იმის თქმაცაა საჭირო, რომ ოჯახის შექმნა არაა ღვთაებრივი სიყვარულის გამოვლენის ერთადერთი შესაძლებლობა. არიან ისეთი წმინდა ადამიანები, რომლებიც ნახსენები არიან ყურანში, მაგალითად კეთილშობილი მარიამი და თავისი შვილი ისა შუამავალი. ზოგჯერ ამ ქვეყნად, რომელიც ადამიანთა გამოცდის ადგილია, ღვთაებრივი განსაზღვრულობის ძალით ვილაცას ოჯახის შესაქმნელად ჯანმრთელობა ხელს არ უწყობს. ზოგიერთისთვის ის ოჯახური ცხოვრება თავისთავად უდიდეს






გამოცდად, ტანჯვის მიზეზად იქცევა. უზენაესი ალლაჰი ამით მათ, ვინც ასეთ შემთხვევებში მოთმინებას ავლენს, ცოდვებს არ ჩაიდენს, საკუთარ თავს სრულყოფს, სულის განსაკუთრებულ მდგომარეობას უბოძებს. ამ დროს ამ ღვთისმოსავ ადამიანთა სულიერი თვისებები იმდენად ვითარდება, რომ სარგებელი მათი შინაგანი სამყაროსთვის და მუდმივი ცხოვრებისთვის უფრო მეტი ხდება, ვიდრე მათ რომ ოჯახი შეექმნათ ამქვეყნად და მასში ბედნიერად ეცხოვრათ. უზენაესი ალლაჰის გაჩენილების გულწრფელად მოყვარული ადამიანები უსიტყვო და ფაქიზი სიყვარულით თავის თავში იმდენი სიკეთისა და სათნოების, თანაგრძნობის, სიმსუბუქისა და გამჭვირვალობის შემსრუტავნი არიან, რომ ღმერთის სიყვარულის გზა მათი გულებისთვის მუდმივად იხსნება. ამ გზაზე ვინც მოთმინებითა და შეუპოვრობით გამოვიდა ყველა უბედურებასთან, განსაცდელთან, გაჭირვებასთან, დანაკარგთან და გულის მონიფულობას ზედიზედ წარბშეუხრელად გამოცდის ჩაბარებით მიაღწია. ადამიანისთვის უფრო მისაღებია, შექმნას ოჯახი, რომელიც სიყვარულითა და ურთიერთგაგებით უზენაესის კანონებზე იქნება დაფუძნებული.

უსიყვარულოდ დარჩენილი გული ისეთია, როგორც მიტოვებული მინდორი. ამ მიწას მამაკაცისა და ქალის ჰარმონიული ურთიერთობა ამუშავებს. ამ სიყვარულში გახვეული არიან შვილები, ახლობლები, მეგობრები, მთელი სამყარო. ამგვარად მიიღწევა მიზანი — ღმერთის უსაზღვრო სიყვარული, სულიერების მწვერვალების დაპყრობა. თუკი ეს მიზანი განხორციელებული იქნება, ოჯახის ხე ფესვებს ღრმად გაიდგამს, აყვავდება, დიდებულად გაშლის ტოტებს და მშვენიერ ნაყოფს მოისხამს. უზენაესი ალლაჰის კანონებითა და მისი კმაყოფილების მოპოვების განზრახვით შექმნილი ოჯახი დედამიწის პირობებში სამოთხის განსახიერებაა.

ნიქაჰი (ქორწინება) — შუამავალთა გზის განმეორება, ჩვენი შუამავლის სუნთქვის და ადამიანთა მოდგმის გაზაფხულია. ნიქაჰი იცავს ქალის სინდისსა და ღირსებას, ეს არის თავისი წესი, ქალისა და მამაკაცის პატიოსნების და უბინოების ციხესიმაგრე. ის განასხვავებს ადამიანს ცხოველისგან, აჰყავს ადამიანის სული სიმალღებზე. ნიქაჰის გარეშე ურთიერთობები ეწინააღმდეგება ადამიანის ბუნებას, მის დანიშნულებას... უნიქაჰოდ ერთად ცხოვრება რელიგიით აკრძალულია. ის შეფასებულია როგორც სახიფათო, დიდი ცოდვა, რომლის დამრღვევნიც ალლაჰის წინაშე სასტიკ სასჯელს იმსახურებენ. ისლამით აკრძალულია ადამიანის შერცხვენა, არშეყოფა (მრუშობა) და შეფასებულია როგორც ზნეობის, სინმინდისა და ოჯახური ცხოვრების სილამაზის სანინააღმდეგო დანაშაული, რომელსაც შეუძლია ადამიანის მოდგმის განადგურება. და არ არსებობს იმაზე მეტი სისულელე, დაუფიქრებლობა, ვიდრე ბედნიერებისა და კეთილდღეობის სამყარო, რომელიც ნიქაჰით მოდის, გაცვალო უნესო კავშირებსა და ურთიერთობებზე. ღირსეული ერებისა და ქვეყნების ქუჩები ასეთი ცოდვის დემონსტრაციით არ უნდა შერცხვენ. მოედნები ის ადგილები არ არის, სადაც უზნეობის პროპაგანდა უნდა ხდებოდეს. არ შეიძლება იმის დავიწყება, რომ ნებისმიერი ხალხი თავისი ზნეობითაა ძლიერი და მის სადარაჯოზე ოჯახია.

უზენაესი ალლაჰი მოუწოდებს, რომ თავისი მონამსახურები ბედნიერად, უბინოდ და სუფთად ცხოვრობდნენ. ამის საშუალებას მათ ოჯახი აძლევს. წმინდა ადამისა (ალლაჰმა დალოცოს) და კეთილშობილი ევას სამოთხეში დანყებულ ოჯახური ცხოვრება, უზენაესი ალლაჰის ნებით, ისლამის კანონებს ემყარებოდა. ჩვენი ოჯახები სამოთხის სიმშვიდით, გაზაფხულის ცის ბედნიერი შუქით რომ აივსოს, საჭიროა ისე-



თი სულიერი ატმოსფეროს შექმნას შევეცადოთ, როგორც ჩვენს წინაპრებს, ჩვენს მშობლებს ჰქონდათ: ისინი ცხოვრობდნენ ალლაჰის სიყვარულითა და ღვთისმოსაობით სავსენი.

წმინდა ყურანში ნათქვამია:

„მისი სასწაულებიდანაა ისიც, რომ თქვენგანვე გააჩინა თქვენი მენწყილე, რათა იპოვოთ მასში სიმშვიდე, დაგიდგინათ ერთმანეთში სიყვარული და მოწყალება. უეჭველად, ამაში სასწაულებია მოაზროვნე ხალხთათვის!“ (სურა „რუმი“, 21)

ისლამი აფასებს და მალა აყენებს ქალს. ქალის ბედნიერება მაშინაა შესაძლებელი, როცა ის უყვართ. ოჯახში ქალი სინათლის, ბედნიერებისა და მყუდროების წყაროა; თუკი ქალი თავის ოჯახში ბედნიერია, მაშინ ბედნიერი არიან ისინიც, ვინც მის გვერდით არიან. ქალს თავისი სისუფთავითა და ცხოვრების სიხალისით შეუძლია საზოგადოებაზე ზეგავლენის მოხდენა, ის იცავს ოჯახის ერთიანობას, მის უბინობას. თუკი ქალი საგარეო საქმიანობაში აქტიურად მონაწილეობს, ეს აუცილებლობის შემთხვევაში უნდა ხდებოდეს და სამუშაო მის ნიჭსა და დანიშნულებას უნდა შეესაბამებოდეს. კერას ქმნის ქალი, ბუდეს ქსოვს ქალი. როგორც ქალი, ისე მამაკაციც ზნეობრივად სრულყოფილი უნდა იყოს.

კეთილშობილი მამაკაცი ბედნიერი სასახლის ურყევი ღერძია, ხოლო კეთილშობილი ქალი — ბედნიერების ბალის სამკაული.

ბედნიერი ოჯახის შექმნის პირობა — ცხოვრების მეგზურის ისლამის საჭიროებისამებრ არჩევა... ამასთან დაკავშირებით ალლაჰის შუამავალი ﷺ ამბობდა:

„მეუღლის არჩევისას მხედველობაში მიიღება ოთხი ფაქტორი: მისი სიმდიდრე, განათლება, სილამაზე და რელიგიურობა (ღვთისმომშიობა). მაშ, აირჩიე ის, რომელსაც შარიათი იცავს“ (ბუჰარი, ნიჟაჰ, 15).

მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ ოჯახებს შორის თანასწორობა ყველა დონეზე: კულტურაში, მატერიალურ კმაყოფილებაში, განათლებასა და ა.შ. სხვა დანარჩენი დამოკიდებულია ნებისყოფაზე, ხასიათზე, ადამიანების პირად მონიფულობაზე. ხოლო ყოველივე ეს დაკავშირებული იმასთან, თურამდენად ახლოსაა ადამიანი გამჩენთან

ოჯახის ინსტიტუტის მსხვერვის ერთ-ერთი მიზეზი სოციალური როლების გაცვლაა: ქალებმა ისე დაიწყეს მოქცევა, როგორც მამაკაცებმა, ხოლო მამაკაცებმა — როგორც ქალებმა. უზენაესმა ალლაჰმა თითოეულ სქესს განუსაზღვრა თავისი ნიშნები, როგორც ფიზიკური, ასევე სულიერი. ძლიერი, გულადი და უშიშარი მამაკაცი ოჯახზე პასუხისმგებელია. თავისი ბუნებით სულისა და სხეულის აგებულებით ქალი იმისათვის არ შექმნილა, რომ ცხოვრებისათვის ებრძოლა. მას განსაკუთრებული მისია აკისრია- იყოს მეუღლე, დედა და დაიცვას ოჯახური კერის სითბო, იყოს იმათი დამხმარე და შემწე, ვისაც მისი სითბო, ალერსი და სიყვარული ესაჭიროება.

დაე, უზენაესმა ალლაჰმა გვალერსოს ისეთი ოჯახების შექმნა, რომელთა სიმტკიცეს ვერცერთი თანამედროვე პრობლემა ვერ შეარყევს: ვერც უზნეობა, ვერც უფულობა, ვერც სულიერი განათლების უქონლობა. დაე, ჩვენი ოჯახები სამოთხის მსგავსად იქცეს, რომელშიც სიმშვიდე, ბედნიერება, კეთილდღეობა იქნება გამეფებული. ღმერთო ჩვენო! დაგვლოცე ყველა ჩვენგანი, რომ მთელ მსოფლიოში მძვინვარე უზნეობის ქარიშხლისგან დაცული ვიყოთ და მყარი ოჯახი შევქმნათ! დაე, ჩვენი ოჯახები ურთიერთგაგების, სიყვარულისა და კეთილდღეობის ბურჯი გახდეს! დაე, ჩვენთვის გაიღოს მარადიული სამოთხის კარი, სადაც უზენაეს ალლაჰთან შეხვედრა გველოდება!



დანიელ ბოლქვაძე

ბედისწერის განმარტება

ყურანით განმარტებული ბედისწერა ალლაჰის ძღვევამოსილების და მისი სიბრძნის მაჩვენებელია, ის ალლაჰის მიერ დაკანონებული საზღვრებია, რომლის უარყოფაც ალლაჰის ძალის უარყოფას ნიშნავს.

-- ზოგიერთები ამბობენ: „რაც შუბლზე განერიო...“

-- დიახ, ასე ჩანს, ასეთ საშინელებებსაც ამბობენ: ალლაჰს დანერვილი აქვს ის, ვინ ურწმუნოდ ან მორწმუნედ გარდაიცვლება. ვთქვათ, რომ ეს მართლაც ასეა, მაშინ გამოდის, რომ თუ კაცი მთელი ცხოვრება მორწმუნედ იცხოვრებს და ალლაჰს მისი ურწმუნოდ გარდაცვალება უნერია, ამ საქმეს არ ეშველება, სიკვდილის წინ გამოეცხადება ანგელოზი, რომელიც მას ურწმუნოს გახდის და სიკვდილის ანგელოზი მას სულს, როგორც ურწმუნოს ისე ამოხდის ან კიდევ ამ ყველაფრის პირიქით აღქმა შეიძლება.

როგორ შეიძლება ასეთი რამის დაჯერება? ნუთუ შეიძლება იმაზე ფიქრი,

რომ არსებობს ასეთი სარწმუნოება, ნუთუ შეიძლება იმის რწმენა, რომ ალლაჰი, რომელიც უამრავ აიათში სამართლიანობას ბრძანებს, ადამიანებს უსამართლოდ ექცევა. ადამიანი, რომელსაც სიმართლის სჯერა, ასეთ რამეს ვერასოდეს დაიჯერებს, რადგანაც გამოდის, რომ თუ ალლაჰმა ისე დაუნერა, რომ ის ურწმუნოდ გარდაიცვლება, მან რამდენიც არ უნდა სიკეთე ან ქველმოქმედება აკეთოს, მაინც ჯოჯოხეთში უნდა წავიდეს. ასეთი რამის რწმენა კი არაა, გაფიქრებაც კი არ შეიძლება. ყურანი ასეთ რამეს არ გვასწავლის.

შუამავალს (ს.ა.ვ) ასეთი რამ უბრძანებია ერთ-ერთ ჰადისში: „როგორც იცოცხლებ, ისე მოკვდები და როგორც მოკვდები ისე გაცოცხლდები“ არავის არ ენყინოს და იცოდეს, რომ თუ ეშმაკივით იცხოვრებს, ანგელოზივით ვერ გარდაიცვლება, ეს საქმე ასე არ ხდება, ამიტომ ყველაფერი „რაც შუბლზე განერიო...“ ამ სიტყვებს არ უნდა მივანეროთ.

ვინც იტყვის რომ: „ჩემს ბედისწერაში ისე ყოფილა“-ო, ის ალლაჰის ცოდნაში

ადგილს ეძებს და თითქოს უნდა იცოდეს ის, რაც ალლაჰმა იცის. ეს ძალიან დიდი სირთულეა ჩვენში, როცა ყველაფერი ბედისწერას ბრალდება, მაგრამ არსებობს რალაცეები, რომელსაც ადამიანის ცოდნა ვერასოდეს მისწვდება:

1. არავინ არ იცის სად დაიბადება;
2. მიიღოს გადანყვეტილება, თუ სად დაიბადოს;
3. სქესს ვერ აირჩევს და ვერ დაიმტკიცეს;
4. ეროვნებას ვერ აირჩევს;
5. მდებარეობას ვერ აირჩევს;
6. მშობლებს ვერ აირჩევს.

დასაქორწინებლები ერთმანეთის ბედისწერა არიანო ამბობენ. მაგრამ აქ ერთმანეთისთვის არიან თუ ვიტყვით ეს მომენტი მცდარია, რადგანაც ერთმანეთს თუ გაშორდებიან, მაშინ რა უნდა ვიფიქროთ: ალლაჰმა შეცდომით დანერა? რა თქმა უნდა ალლაჰმა იცის ვინ, ვისთან დაქორწინდება, იგი ყოველსმცოდნეა, არ არსებობს რაიმე ისეთი, რაც ალლაჰმა არიცის. უდიდესი ალლაჰი და უცოდინრობა ერთად ვერ განიხილება, მაგრამ ალლაჰმა რაც იცის, ეს ჩვენ არ ვიცით, ამიტომაც ჩვენ, რაც ალლაჰმა იცის იმის მიხედვით კი არა, რაც ალლაჰმა გვაცოდინა იმის მიხედვით ვიცხოვრებთ. რა გვაცოდინა უდიდესმა ალლაჰმა? მაგ. ჩამოთვლილია: ეს გააკეთე, ეს არ გააკეთო. ჩვენც, მხოლოდ მასზედ ვართ პასუხისმგებელნი, რაც ალლაჰისგან გვაქვს ნაბრძანები.

„ალლაჰმა ჩემს შესახებ ყველაფერი იცის“, კი იტყვის ადამიანი, მაგრამ

შენ არ იცი ის, რაც ალლაჰმა შენს შესახებ იცის, ამიტომ თუ ცოდვებს ჩაიდენ ალლაჰს არ უნდა აბრალებდე „მან ეს იცოდა“ ან „მან ასე დამინერა“ და ა.შ. ეს ურწმუნო ხალხის სიტყვებია.

ასეთ თემებზე პასუხები აიათებით გავცეთ უმჯობესია, თუ აიათები არ ვიცით, გაჩუმება ყველაზე უკეთესი საშუალებაა. ე.წ. გადმოცემებიც კი, არ ვუთხრათ ხალხს, რომლებიც თუ ზუსტად არ ვიცით, რომ ყურანის აიათებიდანაა გამომდინარე. კარგად უნდა გავითავისოთ, რომ შუამავალი (ს.ა.ე), მხოლოდ ყურანის აიათებიდან გამომდინარე ლაპარაკობდა. ყველა გაგონილი ჰადისი ყურანის აიათებს უნდა შევადაროთ, როცა ის ყურანის აიათებთან წინააღმდეგობაში არ მოვა, მოვუნოდოთ ყველამ ისწავლოს.

სურა ენლამის 148-ე აიათში წინადადებას დავაკვირდეთ: „ასე იტყვიან, რომელნიც წარმართნი არიან: ალლაჰს რომ ენება, წარმართები არ გავხდებოდით არც ჩვენ, და არც ჩვენი მამები და არც არაფერს ავკრძალავდითო...“

სურა ელრაფი 28-ე: „და როცა ისინი საზიზღრობას სჩადიან, ამბობენ: ამაზე ვპოვეთ ჩვენი მამები, და ალლაჰმა გვიბრძანა ეს. უთხარი: უეჭველად, ალლაჰი არ გიბრძანებთ საზიზღრობებს. ნუთუ ამბობთ ალლაჰზე იმას, რაც არ იცით?“

ნაჰლ სურას 35-ე აიათი „...აი, ასე მოიქცენენ, რომელნიც იყვნენ მათ უწინ.“ აი ასე გააკეთეს ამ ურწმუნოთა წინაპრებმაც. ასე გააკეთა ემმაკმაც, იგი თვითონ ურწმუნო გახდა, მაგრამ ალლაჰს ეუბნებოდა: რადგანაც შენ შემაცდინე ღმერ-





თო, მეც შენი მსახურები უნდა ავაც-
დინო სწორ გზას. აი, ასე აბრალებდნენ
ყველანი თავიანთ დანაშაულს ალლაჰუ
თელაღას. სინამდვილეში ეშმაკი გახდა
ურწმუნო, არ დაიჯერა, ქედმაღალობა
გამოიჩინა და შეიქმნა ურწმუნოთაგანი.
დანარჩენებიც თვითონ იყვნენ თავიან-
თი არასწორი რწმენის გამო დამნაშავე-
ნი.

ნუთუ ღმერთმა შეაძულა მათ ისლა-
მი? ნუთუ ღმერთმა დაუნერა მათ ასე?
არა, რა თქმა უნდა თვითონ აირჩიეს ეს
გზა. ვერავინ თავის დანაშაულს ალლაჰუ
თელაღას ვერ მიაწერს.

ჩვენ წარმოვიდგინოთ ერთი ათეის-
ტი, რომელიც იტყვის ღმერთმა მე ეს ასე
დამიწერაო, რა უნდა ავუხსნათ ჩვენ მას,
თუ ჩვენც იგივენაირად გვჯერა? განვი-
ხილოთ ადამიანის რამდენიმე თვისება
როცა ალლაჰმა მოგვცა:

1. ჭკუა
2. ფიქრის საშუალება
3. ადამიანური სინამდვილე
4. ნამუსი
5. შუამავალი მოავლინა
6. წიგნი მოავლინა


ამ თვისებების მიხედვით ცხოვრება-
ში ადამიანმა თავისი ადგილის მოძებნა
უნდა დაიწყო. ამის შემდეგ თუ კიდევ
ვინმე დაიწყებს: „მე ასე ამიხსნეს, ასე
ვიცოდი“ მას უნდა ვუთხრათ აიათი ნაგ-
ვიკითხოს, რადგანაც როცა რწმენაზეა
საუბარი და მითუმეტეს ბედისწერაზე,
აიათის ნაკითხვაა აუცილებელი.

ბოლოსკენ ბედისწერა ასე განვმარ-
ტოთ, ვფიქრობ საკმარისი იქნება:

ჩავიფიქროთ ასეთი სცენარი, სა-
დაც აღებულია ორი ვაჟკაცი, 1 კეთილი,
1-იც ბოროტი. ხელმძღვანელი წაიყვანს
და როლებს დაურიგებს მათ. აღებული
როლების მიხედვით ფილმს გადაიღებენ.
ახლა ხელმძღვანელმა, რომ ბოროტი
როლის შემსრულებელ ვაჟკაცს დაუძა-
ხოს და უთხრას: „შენ ვერ მიიღებ ანაზ-
ლაურებას, რადგანაც ბოროტება (თანაც
კარგად) შეასრულეო“. ნუთუ სწორია ეს
მიდგომა? ნუთუ მსახიობს ასეთი რამ
ეთქმება? თუ საქმეს ასეთი ლოგოკით
მივყვებით, გამოდის რომ ღმერთმა და-
უნერა კაცს, რომ ჯოჯოხეთში უნდა წა-
სულიყო, შემდეგ კი უთხრა: ჯოჯოხეთში
რატომ მიდიხარო?

დიახ, ძვირფასო მორწმუნეებო! ალ-
ლაჰმა სცენარი დანერა, სადაც უამრა-
ვი როლებია თავისუფალი, რომლებსაც
ალლაჰი არ არიგებს, ალლაჰი ამ რო-
ლებს აცნობს ადამიანებს შუამავალთა
წარმოგზავნით. სანამ ზრდასრულ ასაკს
არ მიაღწევს ადამიანი, მანამდე ამ სცე-
ნარში თამაშს არავინ სთხოვს მას. შემ-
დეგ კი ადამიანები თავისთვის ირჩევენ
სხვადასხვა როლებს, რომლისთვისაც პა-
სუხი მოეთხოვებათ აუცილებლად.

ასე, რომ არავინ ჩვენ არაფერი არ
დაგვინერა, ჩვენ თვითონ ავირჩიეთ ჩვე-
ნი ბედისწერა ჩვენთვის. ალლაჰმა არ-
ჩევისას ჭეშმარიტებას არ აგვაცდინოს
ინშალლაჰ.



ალლაჰის სიტყვის ღამაში ხმით კითხვა

აიათებმა, რომლებიც ალლაჰის სიტყვებია, ადამიანებსა და ჯინებზე ზეგავლენის მოხდენა რომ შეძლონ, მნიშვნელოვანია მისი როგორც უშეცდომოდ, ასევე ღამაში ხმათ ნაკითხვა. ისე, როგორც საუბრისას სიტყვები გამოთქმის მიხედვით მნიშვნელობას იცვლის, ასევე ადამიანებზე ზეგავლენას ახდენს მოსაუბრის მდგომარეობა, გამომეტყველება და მიმიკა. მაგალითად, მათხოვრის ხვენის ფორმა, მხოლოდ ამორჩეულ სიტყვებზე კი არა, ამავე დროს სიტყვების გამოთქმაზეცაა დამოკიდებული. სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლის წინ, ჯარისკაცებისთვის მეთაურის წამაქეზებელ მიმართვაში ზეგავლენის მომხდენი ჰარმონიული სიტყვების გამოყენებაც ამის მაგალითია. ის, რომ მუსიკა ადამიანებს ალაფრთოვანებს ამ ზეგავლენის შედეგია.

როცა ადამიანების ჩვეულებრივი სიტყვების მიმართ, ასეთი დამოკიდებულება ჭეშმარიტებაა, უბადლო სიტყვის ყურანთან დამოკიდებულება გაცილებით მნიშვნელოვანია. შესაძლოა ის, რომ ყურანის კითხვა -სუნნეთი, მოსმენა კი - ფარძია, მისი ღამა-

ში კითხვის მნიშვნელობაზე ყურადღების გამახვილებაა. ამ მიზეზითაა, რომ ყურანის კითხვა, ისლამის მეცნიერებებს შორის ცალკე განყოფილებად ჩამოყალიბდა. „ყურანის კითხვის ხელოვნებად“ წოდებულ ამ მეცნიერებას იმოდენა მნიშვნელობა მიენიჭა, რომ ზუსტად ფილოსოფიური მოძღვრებების ფუძემდებლების მსგავსად, ამ მეცნიერებასაც იმამები გააჩნდა.

კაცობრიობის ისტორიაში, დავუდის სხვა თვისებებისგან გამორჩეულად მისი ღამაში ხმაა ცნობილი. ყურანშია გაცხადებული, რომ მისი ღამაში ხმით ნაკითხულ ღვთიურ სიტყვას ჩიტები და მთებიც კი სულგანაბული უსმენდნენ და მის წინაშე ქედს იხრიდნენ. მისი ამ საოცარი ხმით ნაკითხულ ღვთიურ სადიდებელს, ყველა სულიერი და უსულო არსება უერთდებოდა.

ხმა, ალლაჰის ერთ-ერთი უდიდესი ნყალობაა. ის რომ არ ყოფილიყო, სამყაროში უდიდესი სიცარიელე იქნებოდა. ისე, როგორც სხვა რამდენიმე სიკეთე, ხმაც შეიძლე-



ბა ბოროტების იარაღად ან ხელშემწყობად იქცეს. სამყაროში ხმა არის, ცუდიც და კარგიც. მაგალითად, რამდენადაც სასიამოვნო და დამამშვიდებელია ბუღბუღის ხმა, იმდენად უსიამოვნო და შემანუხებელია ყვავის ხმა.

ხმა ისე, როგორც ადამიანებზე, ცხოველებზეც პოზიტიურ ან ნეგატიურ გავლენას ახდენს.

ხმა, რომელიც ცხოველებზეც კი ზეგავლენას ახდენს, მათზე გაცილებით სრულყოფილ ადამიანზე როგორ არ იმოქმედებს?! ყურანისა და ეზანის ხმა ადამიანების სიმშვიდის წყაროა.

შუამავალი იმ დროს, როცა ამქვეყნიური ამბებით სული დაუმიძიმდებოდა, გასახალვათებლად ბრძანებდა:

„ბილალ! ეზანი წაიკითხე და დავმშვიდდები!“ (აბუ დავუდი, ედები, 78)

სულიერი თუ უსულო - ყველა არსება მუდმივად უდიდეს ალლაჰს ადიდებას. ეს აიათში ასეა გამოხატული:

„დიდებას ალავლენს მისთვის შვიდი ცა, მიწა და ყოველი, რაც მათ შორისაა. არ არს რაიმე, მას რომ არ განადიდებდეს ქებით, მაგრამ თქვენ ვერ ჩასწვდებით მათ ქება-დიდებას. უეჭველად, იგი სულგრძელია, შემნდობია!“ (სურა ისრა, აიათი 44)

შუამავალი ბრძანებს: „ყურანი თქვენი ხმებით შეამკეთ (ის ტკბილი ხმით სწორად და ლამაზად წაიკითხეთ)!“ (იბნ მაჯე, იქამეთი, 176).

ეს გამოხატავს, რომ ლამაზი ხმა ყურანს უფრო ალამაზებს და მის ზეგავლენას ზრდის.

„ყურანი თქვენი ხმებით გაალამაზეთ, რადგან ლამაზი ხმა ყურანის სილამაზეს უფრო ზრდის.“ (დარიმი, ფაზალულ ყურანი; 34).

მას, ვისაც გული ყურანით აქვს გაფლენილი, ცხოვრობს იმის შეგნებით, რომ უდიდესი ალლაჰის მონა-მსახურია, ვინც ალლაჰს მადლობას უხდის მათთვის ბოძებული სიკეთეებისთვის, წარმავალ ცხოვრებას იმქვეყნიურ კაპიტალად აქცევს. აქედან გამომდინარე, იმათთვის, ვინც წილს იღებს შუამავლის წყალობისგან, მათთვის ყურანი, რომელიც მიწისა და ცის ენაა, სულიერებისა და ნაყოფიერების ხაზინაა. შუამავალი და ყურანი არის სინათლის ის ორი წყარო, რომელიც ალლაჰმა ადამიანებს უწყალობა.

ალლაჰის შუამავალი ასე ბრძანებს: „ადამიანი, რომელსაც გულში ყურანი საერთოდ არა აქვს, გაპარტახებულ სახლს ჰგავს.“ (თირმიზი, ფეზაილულ ყურანი 18, დარიმი, ეზაილულ ყურანი 1)

სამყარო - მდუმარე ყურანი, ყურანი კი - მოლაპარაკე სამყაროა. ყურანი გაცხადებული სასწაული და ალლაჰის სიტყვაა. ადამიანი, რომელიც მოკლებულია ყურანის ჭეშმარიტებას, ორივე სამყაროში უბედურია.

ვინც ყურანის ჭეშმარიტების შესაბამისად ცხოვრობს, იმისი არსებობა სამოთხის ცხოვრებაა.

ალლაჰის შუამავალმა ბრძანა: „გულები რეინასავით ჟანგდება.“

ამაზედ მას ჰკითხეს: „მისი გამაპრიალბელი რა არის ალლაჰის შუამავალი?“

მან უპასუხა: „ალლაჰის წიგნის ხშირი კითხვა და ალლაჰის ხშირი ხსენება.“ (ალი ელ მუთთაჟი, ქენზულ უმმალი, II, 241)

ალლაჰის შუამავალმა თავის თანამიმდევრებს უთხრა: „თქვენს თვალებს ღვთისმსახურებებისგან მისი წილი მიეცით!“

„თვალების წილი რა არის, ალლაჰის შუამავალი?“

მან კი ბრძანა: „ყურანის კითხვა, დაწერილზე დაფიქრება და მისი აიათებისგან

გაკვეთილის აღება.“ (სუიუთი, ჯამიულ სა-
ლირი, 1, 39)

ყურანის კითხვა მორწმუნის ცხოვრება-
ში იმდენად მნიშვნელოვანია, რომ უდიდესი
ალლაჰი მას, ვინც ყურანს კითხულობს, აყე-
ნებს მარადიული მონაპოვრის მფლობელთა
სათავეში: „უეჭველად, რომელიც კითხუ-
ლობენ ალლაჰის წიგნს და აღავლენენ ჭეშ-
მარიტად ლოცვას და გაიღებენ იმისგან, რაც
ვუბოძეთ, ფარულად თუ ცხადად, იმედი აქვთ
გარიგების, რომელიც არ იქნება ამაო. რათა
მიაგოს მათ თავიანთი საზღაური და შეჰმა-
ტოს მათ თავის წყალობიდან. უეჭველად, იგი
შემნდობია, მადლობის შემსმენია!“ (სურა
ფატირი, აიათები 29, 30)

„უეჭველად, მორწმუნენი არიან ისინი,
რომელთაც გულები შიშით უთრთიან, როცა
ხსენდება ალლაჰი, ხოლო როცა მისი აიათები
ეკითხებათ, რწმენას ჰმატებს იგი და მიენდო-
ბიან თავიანთ ღმერთს.“ (სურა ენფალი, აია-
თი 2)

უეჭველია, რომ ალლაჰის სიტყვის კითხ-
ვა ყველაზე ღირსეულ ღვთისმსახურებათა-
განია. აქედან გამომდინარე, აუცილებელია
მისი ლამაზი ფორმით ნაკითხვა. უდიდესი
ალლაჰი ბრძანებს: „და ლამაზად იკითხე ყუ-
რანი, აუჩქარებლად (დინჯად).“ (სურა მუ-
ზემმილი, აიათი 4)

მეორე მხრივ, ასევე ძალიან მნიშვნელო-
ვანია ნაკითხული ყურანის მდუმარედ მოსმე-
ნა. ვინაიდან, ყურანის ნაკითხვა - სუნნეთი,
მოსმენა კი - ფარძია. აიათში ნაბრძანებია:
„და როცა იკითხება ყურანი, ისმინეთ იგი
და გაჩუმდით, ეგების შეწყალებულ იქმნეთ
თქვენ!“ (სურა აარაფი, აიათი 204)

იმისათვის, რომ ყურანის მნიშვნელობა
გაიგო, თუნდ ლოცვის ან სხვა ადგილზე ნა-
კითხვისას და მისი რჩევებისგან სარგებლობა
მიიღო, ის შენი ქმედებებისას ეტალონად გა-
იხადო, საჭიროა მთელი ყურადღება მისკენ
მიმართო.

დუმილი მოსმენისთვის ნიადაგს ამზა-
დებს; კარგი მოსმენა გამჭრიახობას ზრდის;
შორსმჭვრეტელობა ადამიანს რწმენასა და
ღვთისმსახურებას აყვარებს; რწმენა და
ღვთიმსახურება კი, ადამიანს ღვთის წყალო-
ბას მოაპოვებინებს.

ალლაჰის შუამავალს ყურანის სხვისგან
მოსმენა უყვარდა. ზოგჯერ იბნ მესუდს მის
წაკითხვას სთხოვდა და დიდი სულიერი კმა-
ყოფილებით უსმენდა. ერთხელ, როცა იბნ მე-
სუდის წაკითხულ ყურანს უსმენდა, თვალები
ცრემლებით აევსო.

ამ შემთხვევას აბდულლაჰ იბნ მესუ-
დი ასე გადმოგვცემს: ერთხელ შუამავალმა
მითხრა; „იბნ მესუდ, ყურანი წამიკითხე!“

მეც ვუთხარი: „ალლაჰის შუამავალო!
მაშინ, როცა ყურანი თქვენ გამოგვგზავნათ,
მას მე როგორ წავიკითხავთ?“

ალლაჰის შუამავალმა ბრძანა: „მე ყურა-
ნის სხვისგან მოსმენაც მიყვარსო.“

მე სურა „ნისას“ ნაკითხვა დავინწყე. 41-ე
აიათამდე რომ მივედი, ალლაჰის შუამავალმა
ბრძანა: „საკმარისია!“

ამ დროს დავინახე, რომ შუამავალს თვა-
ლებიდან ცრემლები ჩამოსდიოდა. (ბუჰარი,
თეფსირი, 4/9, მუსლიმი, მუსაფირუნი, 247)

დამაფიქრებელია ხალიფა ომარის შემ-
დეგი სიტყვები: „სურა „ბაყარას“ თორმეტი
წლის განმავლობაში ვკითხულობდი და ალ-
ლაჰის სამადლობლად აქლემი ყურბნად შევ-
წირე.“ მის მიერ ნაკითხული ყურანი მხოლოდ
სიტყვებისგან არ არის შემდგარი. პირიქით,
ყურანის სიბრძნის და საიდუმლოებებს ცოდ-
ნა, იქ მოცემული ღვთიური დეტალების ჩანვ-
დომითა და განცდით კითხვაა. რადგანაც
ყურანისგან სარგებლობის მიღება მხოლოდ
ამგვარადაა შესაძლებელი.

ყურანის ნამდვილი ზეპირად მცოდ-
ნე (ჰაფიზი) არის ადამიანი, რომელიც მისი
კითხვისგან იღებს სიამოვნებას, მისი ბრძა-
ნებების შესაბამისად მოქმედებს, მისი შესა-
ბამისი ზნეობა აქვს და მისი სიბრძნით სრულ-
ყოფილია.

ალლაჰის შუამავალი ბრძანებს: „თქვენ
შორის ყველაზე მადლიანია ის, ვინც ყურანს
ისწავლის და ასწავლის.“ (ბუჰარი, ფეზაი-
ლულ ყურანი, 21)

ყურანი ალლაჰის მიერ თავისი საფეხუ-
რებიდან კაცობრიობისთვის გამოგზავნილი
დიდებული სიტყვა და დიდი საჩუქარია. ამ
საკითხის შესახებ ალლაჰის შუამავალი ასე
ბრძანებს:

„ალლაჰის სიტყვა მისი შექმნილების სიტყვებზე ისევე მაღლა დგას, როგორც ალლაჰი თავის მონა-მსახურებზე.“ (დარიმი, ფეზაილულ ყურანი, 6)

ამგვარად, დიდებული ღვთიური სიტყვის წაკითხვა ფხიზელი გულითაა საჭირო. ადამიანი, რომელიც ყურანს კითხულობს, მისგან სარგებელს იღებს თავისი გულის სრულყოფილების და მგრძობელობის საზომის მიხედვით, რადგან ყურანში მოცემული ღვთიური საიდუმლოებების ფარდები, მხოლოდ იმ გულს ეხსნება, რომელთაც მათი შემეცნება შეუძლია. ალლაჰის შუამავალი ბრძანებს:

„მორწმუნე, რომელიც ყურანს კითხულობს, უთურუნჯის ნაყოფს ჰგავს; მისი სუნიც სასიამოვნოა და გემოც. ხოლო ფარისეველი, რომელიც ყურანს კითხულობს, რეჰანს ჰგავს: სუნი სასიამოვნო აქვს, გემო კი — მწარე; ფარისეველი, რომელიც ყურანს არ კითხულობს, აბუ ჯეჰილის საზამთროს ჰგავს, არც სუნი აქვს და გემოთიც მწარეა.“ (ბუჰარი, ეთიმე, 30, ფეზაილულ ყურანი, 17, 36; მუსლიმი, მუსაფირუნი, 243)

ერთ სხვა ჰადისში ნათქვამია;

„ისინი ყურანს კითხულობენ, (მაგრამ წაკითხული) ყელს ქვევით არ გადადის!“ (ბუჰარი, ფეზაილულ ყურანი, 36)

ეს ნიშნავს, რომ დაუფიქრებლად წაკითხული ყურანი, არანაირ სარგებლობას არ იძლევა. იმის შესახებ, ვინც ყურანს დაუფიქრებლად კითხულობს, უდიდესი ალლაჰი ბრძანებს: „ნუთუ ისინი ყოველმხრივად არ გაიაზრებენ ყურანს? ან იქნებ გულთა ზედა აბია საკეტნი თვისი?“ (სურა მუჰამმედი, აიათი 24)

ადამიანები, რომელთაც უკიდევანო, ღრმა და ფაქიზი გულები აქვთ ამ გაფრთხილებისგან თავიანთ წილს იღებენ.

„რომელნიც ალლაჰს ახსენებენ ფეხზე მდგომარე, მჯდომარე თუ მწოლიარე, და ფიქრობენ ცათა და ქვეყნის გაჩენაზე, (ამბობენ): „ღმერთო ჩვენო! შენ ეს ამაოდ (ტყუილად) არ გაგიჩენია! დიდება შენდა! დაგვიფარე ჩვენ ცეცხლის სასჯელისგან!“ (სურა ალი-იმრანი, აიათი 191)

აითა ასე გადმოგვცემს: „წმინდა აიშეს ვუთხარი, შეგიძლია მითხრა ყველაზე მეტად

ალლაჰის შუამავლის რომელმა მდგომარეობამ გაგაოცა?“

„მისი რომელი მდგომარეობა არ იყო გასაოცარიო!“ - თქვა და გააგრძელა: „ერთ დღეს ლოგინში დანვა, შემდეგ კი მითხრა:“

„თუ ნებას მომცემ, ავდგები და ჩემს ალლაჰს ღვთისმსახურებას შევეუსრულებო.“

„ვფიცავ შენთან ყოფნა ძალიან მიყვარს, მაგრამ ის უფრო მიყვარს, რაც შენ გახარებს - მეთქი,“ - ვუპასუხე. ამაზედ ადგა, აბდესი აილო, ლოცვაზე დადგა და ტირილი დაიწყო. იმდენი იტირა, რომ ცრემლები მკერდზე ჩამოუვიდა. შემდეგ რუქზე ნავიდა, კვლავ ტიროდა და ასეთ მდგომარეობაში იყო, სანამ ბილალი მოვიდოდა და დილის ლოცვის ეხანს იკითხავდა. ბილალმა რომ დაინახა, მუჰამედ შუამავალი (ს.ა.ს) ტიროდა, ჰკითხა:

„ალლაჰის შუამავალო, მიუხედავად იმისა, რომ შენი ყველა წარსული და მომავალი ცოდვა ნაპატიებია, რაღა გატირებს?“

შუამავალმა უპასუხა: „ხომ ვერ ვიქნები მონა-მსახური, რომელიც ალლაჰს ბევრ მადლობას არ სწირავს? ვფიცავ, ამ ღამით ისეთი აიათები მომევიღინა, რომ საცოდავი არის ის, ვინც მას არ წაიკითხავს და არ დაფიქრდება.“ თქვა და შემდეგი აიათი წაიკითხა: „რომელნიც ალლაჰს ახსენებენ ფეხზე მდგომარე, მჯდომარე თუ მწოლიარე და ფიქრობენ ცათა და ქვეყნის გაჩენაზე, (ამბობენ): „ღმერთო ჩვენო! შენ ეს ამაოდ (ტყუილად) არ გაგიჩენია! დიდება შენდა! დაგვიფარე ჩვენ ცეცხლის სასჯელისგან. ღმერთო ჩვენო! შენ ვისაც შეიყვან ცეცხლში, უთუოდ, არადა ჩააგდე (შეარცხვინე). და არ ჰყავთ უსამართლოებს შემწენი!“ (სურა ალი-იმრანი, აიათები 191, 192)“ (იბნ ჰანბელი, II, 386)

აქედან გამომდინარე, მორწმუნეების მიერ ალლაჰის შიშით დაღვრილი ცრემლები, წარმავალი ღამეების შეუფასებელი სამკაულები, საფლავის წყვდიადის ვარსკვლავები, სამოთხის ბალების ვარდის სუნიანი ცვარნამებია. ღმერთმა დაგვიფაროს ყურანის სიბრძნისა და საიდუმლოს წინაშე უგრძობი გულისა და დაუღვრელი ცრემლებისგან!

ღმერთო! ჩვენს გულს ნურასდროს დააცვილებ ყურანის შუქსა და შუამავლის სიყვარულს! აამინ!